ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1829036

ნომერი: AR1299744

თარიღი : 05.04.2015

გაცემის თარიღი : 07.04.2015

გაცნობის თარიღი : 07.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , (ნაკვ.01/108) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გეგეშიძე პ/ნ 01008042950
- ტ.ტაბიძის 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1299744 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ #01.17.13.001.108 საკადასტრო ერთეულებზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ შემდეგს:
მითითებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სპეციალურ ზონა 1–ში (სპეცზ–1), წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან საზღვრებს გარეთ, სადაც დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და -სასაწყობო ობიექტების განთავსება.
რადგან მოთხოვნილი საპროექტო ობიექტი არ წარმოადგენს მოქმედ ფუნქციურ ზონაში დომინირებულ სახეობას, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარებაზე გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურს დამატებით ესაჭიროება საპროექტო მოცულობის განახლებული ესკიზური ვარიანტი.
ამასთან ვინაიდან მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქისათვის ერთ–ერთი ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში და სამშენებლო სამუშაოები იგეგმება მიწის ნაკვეთის ქუჩისპირა მხარეს, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით. დამატებით უნდა წარმოადგინოთ 1 სართულიან სავაჭრო ფუნქციის მქონე ობიექტის ესკიზი და ფოტომონტაჟი შესაბამის გარემოში. ასევე მიწის ნაკვეთების გენგეგმა საპროექტო და მიმდებარედ არსებული მოცულობების და საპროექტო ობიექტთან სატრანსპორტო კავშირის ჩვენებით.
ასევე გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად დახარვეზებულ ველებში უნდა ატვირთოთ :

- ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ;
- თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების საინფორმაციო დაფა (ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან) რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული საპროექტო მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2015 წლის 5 აპრილს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.